ინფორმაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრებოდა 12 733,0 ათასი ლარი, (დანართი N 1) საბიუჯეტო წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 6 402,3 ლარი, აქედან მიზნობრივი ტრანსფერის სახით 1 015,7 ათასი ლარი (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) და კაპიტალური ტრანსფერის სახით - 5 386,7 ათასი ლარი მ. შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 3 646,6 ათასი ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 340,0 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამისათვის 890,0 ათასი ლარი, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 510,1 ათასი ლარი. გარდა აღნიშნულისა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოუყო 700,0 ათასი ლარის ფინანსური დახმარება, რამაც შესაძლებელი გახადა მომხდარიყო ბიუჯეტის დამტკიცების დროს (2022 წლის 16.12. N 30 დადგ) დაგეგმილი ნაშთის შემცირება 619 392 ლარით და ასევე დარჩენილი 80 608 ლარით შემცირებულიყო დაგეგმილი ჯარიმები (1 300 000 ლარი) 1 219 392 ლარამდე.

აღნიშნული ცვლილებების გამო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2023 წლის წლიური შემოსულობები ამ ეტაპზე განისაზღვრება 19 754,7 ათასი ლარი, ხოლო 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 10 232,0 ათასი ლარით. ფაქტიურად მუნიციპალიტეტმა ექვს თვეში მიიღო 9 943,9 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 97,2 % -ით, ხოლო წლიური გეგმა 50,3 % -თ. ამასთან, გასული წლის შესაბამისი პერიოდის შემოსულობებს მიმდინარე წლის ფაქტიური შემოსულობები აღემატება 1 298,5 ათასი ლარით (2022 წლის ექვსი თვის ფაქტიური შემოსულობები განისაზღვრებოდა 8 645,4 ათასი ლარი) **დანართი N 1**

დასახელება	2023 წლის პირვ. დამტკ.	2023 წლის გეგმა			2023 წლის ექვსი თვის გეგმა			2023 წლის იანვარ-ივნისის შესრულება			% ექვს თვ.	% წლ.
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახ. ბიუჯეტ	საკ. შემოსავ		სახ. ბიუჯეტ	საკ. შემოსავ.		სახ. ბიუჯეტ	საკ. შემოსავ		
შემოსულობები	12 733,0	19 754,7	6 642,3	13 112,4	10 232,0	3 512,7	6 719,3	9 944,0	3 512,7	6 431,2	97,2	50,3
შემოსავლები	12 683,0	19 704,7	6 642,3	13 062,4	10 207,0	3 512,7	6 694,3	9 944,0	3 512,7	6 431,2	97,4	50,5
გადასახადები	10 918,0	10 918,0	0,0	10 918,0	5 577,9	0,0	5 577,9	4 872,5	0,0	4 872,5	87,4	44,6
ქონების გადასახადი	2 450,0	2 450,0	0,0	2 450,0	1 350,0	0,0	1 350,0	792,7	0,0	792,7	58,7	32,4
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	650,0	650,0		650,0	650,0		650,0	198,9		198,9	30,6	30,6
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	900,0	900,0		900,0	700,0		700,0	588,3		588,3		65,4
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	900,0	900,0	0,0	900,0	0,0	0,0	0,0	4,1	0,0	4,1		0,5
დამატებული ღირებულების გადასახადი	8 468,0	8 468,0		8 468,0	4 227,9		4 227,9	4 079,9		4 079,9	96,5	48,2

დასახელება	2023 წლის პირვ. დამტკ.	2023 წლის გეგმა			2023 წლის ექვსი თვის გეგმა			2023 წლის იანვარ-ივნისის შესრულება			% ექვს თვ.	% წლ.
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			სახ. ბიუჯეტ	საკ. შემოსავ		სახ. ბიუჯეტ	საკ. შემოსავ.		სახ. ბიუჯეტ	საკ. შემოსავ		
გრანტები	240,0	7 342,3	6 642,3	700,0	4 212,7	3 512,7	700,0	4 682,7	3 512,7	1 170,0	111,2	63,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	240,0	1 255,7	1 255,7	0,0	741,6	741,6	0,0	741,6	741,6	0,0	100,0	59,1
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0,0	6 086,7	5 386,7	700,0	3 471,1	2 771,1	700,0	3 941,1	2 771,1	1 170,0	113,5	64,7
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	3 646,6	3 646,6		2 561,1	2 561,1		2 561,1	2 561,1		100,0	70,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	890,0	890,0		150,0	150,0		150,0	150,0			16,9
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	0,0	510,1	510,1		60,0	60,0		60,0	60,0			11,8
სპეციალური ტრანსფერი	0,0	1 040,0	340,0	700,0	700,0		700,0	1 170,0	0,0	1 170,0	167,1	112,5
სხვა შემოსავლები	1 525,0	1 444,4	0,0	1 444,4	416,4	0,0	416,4	388,7	0,0	388,7	93,3	26,9
პროცენტები	50,0	50,0		50,0	25,0		25,0	35,1		35,1	140,6	70,3
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	70,0	70,0		70,0	20,0		20,0	25,7		25,7	128,5	36,7
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	45,0	45,0		45,0	22,5		22,5	23,0		23,0	102,4	51,2
სანებართვო მოსაკრებელი	5,0	5,0		5,0	2,0		2,0	0,9		0,9	45,5	18,2
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვი	55,0	55,0		55,0	27,5		27,5	103,3		103,3	375,5	187,8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1 300,0	1 219,4		1 219,4	319,4		319,4	166,2		166,2	52,0	13,6
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (წინა წელს გადარიცხული და მიმდინარე წელს უკან დაბრუნებული სახსრები)	0,0	0,0			0,0			34,4		34,4		
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	50,0	0,0	50,0	25,0	0,0	25,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მიმდინარე წელს პირველად შეუსრულებელი დარჩა გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების ექვსი თვის გეგმა და გეგმის შესრულებას დააკლდა 705,4 ათასი ლარი. დაგეგმილი 5 577,9 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 4 872,5 ათასი ლარი. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 259,5 ათასი ლარით ნაკლები. ქონების გადასახადი დაგეგმილი 1 350,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 792,7 ათასი ლარი, 58,7 %. მ. შ. საწარმოთა ქონების გადასახადი 650,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 198.9 ათასი ლარი და

უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადი 700,0 ათასი ლარის ნაცვლად 588,3 ლარი. ქონების გადასახადის გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია გადამხდელების ფაქტიური ქონების დაზუსტებით.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავლების გეგმის შესრულებას დააკლდა 148,0 ათასი ლარი და დაგეგმილი 4 227,9 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 4 079,9 ათასი ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერების გეგმა სრულად 100%-ით არის შესრულებული და მუნიციპალიტეტის მიერ მოთხოვნილი თანხები ჩარიცხულია სრულად და დროულად. მიმდინარე წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ მიიღო 4 682,7 ათასი ლარის ტრანსფერი, აქედან 741,6 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერის სახით, 2 561,1 ათასი ლარი - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში 150,0 ათასი ლარი, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან 60,0 ათასი ლარი. ამასთან ფინანსთა სამინისტრომ ექვს თვეში გაგვიწია 1 170,0 ათასი ლარის ფინანსური დახმარება. აქედან 700,0 ათასი ლარი გეგმის ფარგლებში, ხოლო 470,0 ათასი ლარით აღმოგვიჩინა დროებითი ფინანსური დახმარება.

სხვა შემოსავლების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 93,3 %--თ და დაგეგმილი 416,4 ათასი ლარის მაგივრად მიღებულია 388,7 ლარი, 27,7 ლარით ნაკლები. აღსანიშნავია, რომ სხვა შემოსავლების სახეებიდან შეუსრულებელი დარჩა მხოლოდ სანებართვო მოსაკრებლებისა და ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლების გეგმები. ჯარიმებიდან მიღებულია 166,2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში არა ფინანსური აქტივების კლებიდან ექვს თვეში დაგეგმილი 25,0 ათასი ლარიდან შემოსავალი არ შემოსულა.

2023 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი შეადგენდა 1 763 141 ლარს, აქედან 935 533 ლარი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთი და 827 608 ლარი საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთი, საიდანაც ექვს თვეში უკვე გადანაწილებულია წლიური ხარჯების დასაფარავად 1 379 038 ლარი, მათ შორის 551 480 ლარი სახელმწიფო ფონდებიდან და 827 608 ლარი საკუთარი სახსრების ნაშთიდან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის პირველად დამტკიცებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 14 180 ,0 ათასი ლარით, (დანართი N 2) წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების გათვალისწინებით დაზუსტებული ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განსაზღვრულია 21 133,8 ათ. ლარით , გადასახდელების გეგმა გაიზარდა 6 953,8 ათასი ლარით, მ. შ. 2023 წელს სახელმწიფი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ხარჯზე 6 402,3 ათასი ლარით და წინა წლების ნაშთებით 551,5 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წლის ექვს თვეში დაგეგმილი 12 552,1 ლარის ხარჯებიდან დაფინანსებულია 10 087,4 ათასი ლარი ე.ი. 80,4 %.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები ექვს თვეში დაგეგმილი 2 329,8 ათ. ლარიდან დაფინანსებულია 2 226,0 ათასი ლარი, 95,5 %-ით. მ. შ. საკრებულოს შესანახი ხარჯები გაწეულია 490,4 ათ. ლარი. მერიის ხარჯებზე გაწეულია 1 571,3 ლარი. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შესანახად დაიხარჯა 67,0 ათ. ლარი, აქედან 57,6 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერის და 9,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ხარჯზე იქნა გაწეული. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯები ექვს თვეში გათვალისწინებული იყო 6,0 ათ. ლარი, ფაქტიურად გაწეული იქნა 3,8 ათ. ლარის ხარჯი.

გასულ ექვს თვეში სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 9 750 ათასი ლარი, აქედან 5 000 ლარი მიიმართა ,,ერთჯერადი ფინანსური დახმარება“ - ქვეპროგრამაზე და 4 750 ლარი კი ,, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამაზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე წლის ექვს თვეში 35,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის თანხის დაფარვას. აქედან 25.5 ათასი ლარით დაიფარა ძირითადი სასესხო თანხა, ხოლო 10,4 ლარი პროცენტის სახით გადაირიცხა.

ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად მიმდინარე წლის ექვს თვეში დაგეგმილი 5 195,5 ათასი ლარიდან ათვისებული იქნა 3 334,0 ლარი, 64,2%. მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდა 2 909,1 ათასი ლარი. აქედან: გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯებში ექვს თვეში გათვალისწინებული 4 277,3 ათ. ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 2 646,2 ათ. ლარი. მ.შ. სახელმწიფო ფონდებით გამოყოფილი ტრანსფერებიდან გაწეულია 2 544,2 ათასი ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით 101,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი. საკუთარი სახსრებით გაწეულია საპროექტო და საზედამხედველო- საექსპერტო ხარჯები.

საქ. მთავრობის N 2475 განკარგულებით გზების კაპიტალურ შეკეთებაზე გაწეულია 2 400,7 ათასი ლარის საკასო ხარჯი. დასრულდა ცამეტი პროექტი. **(დან. N 2)**

საქართველოს მთავრობის N 2475 განკარგულება(29.12.2022)						
ხელშ.N	**პროექტის დასახელება**	გამოყოფილი	დადებული ხელშეკრულება	გადასარიცხი	შენიშვნა	გადარიცხული
45	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მაქათუბნის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია(II ეტაპი)	138,278	**138,278**	**133,076**	მრავალწლიანი	**126,422**
32	სოფელ ბაზალეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესხების უბანი)	45,021	**45,021**	**37,348**		**35,48**
41	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	48,473	**48,473**	**6,626**	მრავალწლიანი	**6,295**
52	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესერიძეების უბანი)	102,486	**102,486**	**102,486**		**102,486**
34	სოფელ ლამეში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ცქიტიშვილების უბანი)	54,920	**54,920**	**7,100**	მრავალწლიანი	**6,745**
215	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდარში საუბნო გზის რეაბილიტაცია	133,662	**133,662**	**133,662**		**133,661**
206	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია(მესერიძეების უბანი) II - ეტაპი.	52,861	**52,861**	**52,861**	მრავალწლიანი	**52,746**
220	სოფელ ხორითის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია	334,000	**334,000**	**334,000**		**334,000**
214	სოფელ წყალაფორეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია	190,988	**190,988**	**190,813**		**190,813**

212	სოფელ ნებოძირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია	259,999	**259,931**	**259,931**	მრავალწლიანი	**259,931**
213	სოფელ დეისის გზის რეაბილიტაცია(მეორე უბანი)	123,449	**123,449**	**116,425**	მრავალწლიანი	**6,378**
256	სოფელ უბისაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობა	22,930	**22,930**	**22,930**	მრავწლიანი	**22,929**
37	სოფელ მარელისში გზის რეაბილიტაცია(ქურდაძეების უბანი)	250,000	**250,000**	**0,000**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 172224 ლ	
19	სოფელ მაქათუბანში გზის რეაბილიტაცია(წიქარიშვილების უბანი)	46,837	**46,837**	**46,837**		**46,836**
31	სოფელ ხუნევში გზის რეაბილიტაცია(გუბათის უბანი)	216,952	**216,952**	**216,928**		**216,927**
21	სოფელ ხიდარში გლუნჩაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	88,876	**88,876**	**82,431**		**78,384**
20	სოფელ ბრუისში გზის რეაბილიტაცია	49,777	**49,777**	**49,777**		**49,777**
22	სოფელ წიფში გზის რეაბილიტაცია	142,999	**142,999**	**28,500**		**28,500**
43	სოფელ საღანძილეში იჩქიტიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	200,222	**200,222**	**0,000**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 145697 ლ	
48	დაბა ხარაგაულში დევდარიანის ქუჩის რეაბილიტაცია	**118,905**	**118,905**	**0,000**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 102727 ლ	
36	სოფ.ფარცხნალში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ეკლესიის უბანი)	**220,724**	**220,724**	**220,724**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 177053 ლ	**209,688**
32	სოფელ თეთრაწყაროში საუბნო გზის რეაბილიტაცია(ვეფხვაძეების უბანი,ხანდები)	**175,252**	**175,252**	**0,000**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 84050 ლ	
45	სოფელ ბაზალეთის, სოფელ წყალაფორეთის,სოფელ ვარძიის და კიცხი-ხიდარის დამაკავშირებელი ა/ბეტონის საფარიანი გზების რეაბილიტაცია	**362,767**	**362,767**	**362,767**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 84680 ლ	**344,630**
41	სოფელ ჭარტალში გზის რეაბილიტაცია	**155,885**	**155,885**	**155,885**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 351892 ლ	**148,091**
113	სოფელ ლეღვანში ეკლესიის საუბნო გზის რეაბილიტაცია	**110,360**	**110,360**	**0,000**	მრავალწლიანი გაიცემა 2024 წ 136887 ლ	
	სულ	**3 646,623**	**3 646,555**	**2 561,107**		**2400,719**

საქ. მთავრობის N 301 განკარგულებით მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან სოფელ წიფაში გზის მობეტონებაზე გაწეული 60,0 ათასი ლარის ხარჯი. 2022 წლის საქ. მთავრობის N 75 განკარგულებით გაწეულია 64,6 ათასი ლარი სხვადასხვა გზებზე წინა წლის სამუშაოების დასასრულებლად.გზების მიმდინარე შეკეთებაზე დაგეგმილი 217,0 ლარიდან გაწეულია 214,9 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნული ქვე პროგრამით 187 997 ლარად შეძენილი იქნა ექსკავატორ დამტვირთველი, აქედან იაპონიის საელჩოს მიერ გამოყოფილი 165 807,90 ლარის გრანტიდან დაიხარჯა 159 319,50 ლარი ხოლო 28 677,51 ლარი მიმართული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიდან. ხიდებისა და ხიდ ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაციაზე ექვს თვეში დაგეგმილი 33,3 ათასი ლარიდან გაწეულია 17,8 ათასი ლარის ხარჯი ძირითადად სახ. ბიუჯეტის ფონდების ხარჯზე. აქედან 16,7 ათასი ლარი მოხმარდა სოფელ ვაშლევში მდ. ვაშლევურაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენას. ექვს თვეში მუნიციპალიტეტმა ტრანსპორტით მომსახურეობის პროგრამაზე დახარჯა 30,3 ათასი ლარი და მოხმარდა ექვსი მიმართულებით დანიშნული მიკრო-ავტობუსის სუბსიდირებას. განხორციელდა ხარაგაული-ნადაბური; ხარაგაული-სხლითი; ხარაგაული -ვახანი; ხარაგაული-ზვარე, რკინიგზის სადგური-კიცხის და უბისა-ხევის რეისები.

მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით, სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 26,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 24,9 ათასი ლარი. აქედან შეძენილია სოფელ სარგვეშის წყალმომარაგების პროექტი 10,9 ათასი ლარით. დასრულდა წინა წელს დაწყებული სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი ლილეს წყარო 6,0 ათასი ლარი, სოფელ საქარიქედში აღდგენილი იქნა წყალმომარაგების მაგისტრალი 4,9 ათასი ლარი . დარჩენილი 3,1 ათასი ლარით გადახდილია სოფლებში მოწყობილი ჭაბურღილების ელექტროგამანაწილებელ ქსელზე მიერთების თანხა.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციაზე ა(ა)იპ ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებამ ექვს თვეში დაგეგმილი 168,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 139,0 ათასი ლარი, აქედან 75,9 ათასი ლარი არის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 103,0 ათასი ლარიდან ექვს თვეში საკასო ხარჯი არ გაწეულა, აღსანიშნავია რომ გადახურვის სამუშაოები დასრულებულია, მაგრამ საექსპერტო დასკვნის წარმოუდგენლობის გამო ვერ მოხერხდა საკასო ხარჯის გაწევა.

კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაციაზე ექვს თვეში დაგეგმილი 234,8 ათასი ლარიდან ფაქტიურად გაწეულია 207,5 ათასი ლარის საკასო ხარჯი, რითაც დასრულდა წინა წელს დაწყებული კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით ექვს თვეში დაგეგმილი 94,7 ათასი ლარიდან აღებულია ვალდებულებები 65,6 ათას ლარზე და ფაქტიურად დაიხარჯა 53,5 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვაზე დაგეგმილი 929,0 ათასი ლარიდან ა(ა)იპ ხარაგაულის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების მიერ გაწეულია 771,8 ათასი ლარი, 83,4 %; აქედან დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე 669,6 ათასი ლარი, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე 100,2 ათასი (95.2 ათასი ლარი ხელფასებისათვის და 5.0 ათასი ლარი სხვა დანარჩენი ხარჯებისათვის) უპატრონო ცხოველების მოვლა-პატრონობაზე 2,0 ათასი ლარი;

განათლებაზე 2023 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 1 976,8 ათ ლარიდან დახარჯულია 1 848,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,5 პროცენტით. მ.შ. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დახარჯულია 1 060,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფაზე საქ. მთავრობის 2023 წლის N 147 განკარგულებით 621,6 ათასი ლარი. სკოლების რეაბილიტაციაზე 3,7 ათასი ლარის ხარჯი. სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე დახარჯულია – 56,3 ათასი ლარი, და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 106,1 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტზე დაგეგმილი 1 118,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 080, 2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,6 პროცენტით, აქედან სპორტის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 422,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 398,9 ათასი ლარი. აქედან, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა 8,9 ათასი ლარი, ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებას მოხმარდა 275,3 ათასი ლარი და სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვაზე 114,8 ათასი ლარი.

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 605,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 594,7 ათასი ლარი, აქედან ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 89,4 ათ. ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის

სუბსიდირებაზე 487,7 ათ. ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამაზე 11,4 ათ. ლარი და კულტურულ ღონისძიებების დაფინანსებაზე 6,1 ათასი ლარი;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებას მოხმარდა 48,3 ათ. ლარი; რელიგიის დაფინანსებას 30,0 ათასი ლარი და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამაზე დაიხარჯა 8,2 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ უზრუნველყოფის პროგრამაზე ექვს თვეში დაგეგმილი 1 002,6 ათასი ლარიდან დაიხარჯა 827,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 82,5 % - ით. აქედან:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ დაგეგმილი 115,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 111,8 ათასი ლარი, მ. შ. 61,2 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით და 50,6 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით. ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა და აღჭურვაზე დახარჯულია 1,6 ათასი ლარი;

სოციალურ პროგრამებით ექვს თვეში დაგეგმილი 882,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 714,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 80,9 %-ით. აღნიშნული გამოწვეულია ცალკეულ ქვეპროგრამებში შედარებით დაბალი მომართვიანობით.

2023 წლის ექვს თვეში სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე დაგეგმილი 245,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 177,9 ათასი ლარი; აუთვისებლობა <u>გამოწვეულია შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის დაგვიანებით წარმოდგენის გამო.</u> დღეის მდგომარეობით თანხები სრულად არის გადარიცხული.

შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე დახარჯულია 26,7 ათ. ლარი; ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 138,7 ათასი ლარი; ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე 15,2 ათასი ლარი; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 21,8 ათასი ლარი; მარტოხელა მშობლების დახმარებაზე 4,7 ათასი ლარი; მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 14,6 ათასი ლარი; ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე 27,4 ათასი ლარი; სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე 47,7 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამაზე 6,7 ათასი ლარი; უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით მომარაგებაზე 10,0 ათასი ლარი, ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვე პროგრამაზე 12,7 ათასი ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე 31,5 ათასი ლარი; სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობაზე 41,7 ათასი ლარი. ლარი. უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 114,9 ათასი ლარი. გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამაზე 1,7 ათასი ლარი. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებაზე 9,9 ათასი ლარი და არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამაზე 6,7 ათასი ლარი.